

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო ჯაფარიძე

სტომატოლოგიური მახასიათებლები D ვიტამინრეზისტენტული და
D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებულ ბავშვებში

დისერტაცია

წარმოდგენილია მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი ვ.ვ. მარგველაშვილი



თბილისი

2015

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტში

სტომატოლოგიის კლინიკა და სასწავლო - კვლევით ცენტრში „უნიდენტი“

ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრში „რეა“

გენეტიკური და იშვიათი დაავადებების საქართველოს ფონდში

სარჩევი

შესავალი	4
თავი I	
ლიტერატურული მიმოხილვა	8
თავი II	
მასალა და მეთოდები.....	34
თავი III	
საკუთარი კვლევის შედეგები	
3.1.პაციენტთა კლინიკური და ბიოქიმიური მახასიათებლები.....	44
3.2.თანკბილვის და კბილების განვითარების ანომალიები D ვიტამინ-რეზისტენტული და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს ბავშვებში.....	54
3.3. კბილის კარიესული დაზიანებები D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს ბავშვებში.....	59
3.4. პაროდონტის დაავადებები D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს ბავშვებში.....	65
3.5. პერიოდონტის დაავადებები D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს ბავშვებში.....	70
3.6. პაციენტთა ბიოქიმიური მახასიათებლების კორელაციები თანკბილვის ანომალიებთან, კბილებისა და პაროდონტის დაავადებებთან D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს	72
3.7. შემთხვევის აღწერა	82

თავი IV

განხილვა	97
დასკვნები	107
პრაქტიკული რეკომენდაციები	108
ლიტერატურა	110

შესავალი

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი, იგივე მემკვიდრეობითი ჰიპოფოსფატემია, ხასიათდება მეტაბოლური ცვლილებებით, რაც გამოიხატება ძვლის სტრუქტურის კალციფიკაციისა და მინერალიზაციის დარღვევებში [101]. სისხლის შრატში აღნიშნება ფოსფატების რაოდენობის შემცირება, რაც გამოწვეულია თირკმლის მილაკების მიერ არაორგანული ფოსფორის რეაბსორბციის შემცირებით. სტომატოლოგიური პრობლემები მოიცავს დენტინის სუსტ მინერალიზაციას, პულპური ღრუსა და ფესვის არხების გაფართოებას, ეს კი პერიაპიკალური აბსცესების წარმოქმნის წინაპირობას წარმოადგენს [2,3,37,92].

D ვიტამინდამოკიდებული რაქიტისთვის დამახასიათებელია შემდეგი სტომატოლოგიური დარღვევები: კბილების დაგვიანებული ამოჭრა, მინანქრის ჰიპოპლაზია, დენტინის დეფექტები, გაფართოებული პულპური ღრუ [4,5,93]. აღნიშნება თანკბილვის განვითარების და სასის ანომალიების მაღალი სიხშირე. რაქიტით დაავადებულ ბავშვებს ახასიათებთ ყბის ძვლებისა და კბილის ქსოვილების ბიოლოგიური არასრულფასოვნება [5].

ლიტერატურის მიხედვით, კარიესი ბავშვებში უარყოფით კორელაციაშია D (25 (OH) D)-ს კონცენტრაციასთან [71] მონაცემებით მაშინ, როდესაც D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს კორელაციები კარიესსა და ბიოქიმიურ მახასიათებლებს შორის არ გამოვლინდა [143].

აზრთა სხვადასხვაობაა D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს პაროდონტის ანთებითი დაავადებების არსებობის შესახებ. ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს ასოციაციებს D ვიტამინრეზისტენტულ რაქიტსა და პაროდონტის დაავადებებს შორის [91,95,123] მაშინ, როდესაც ზოგიერთი კვლევის შედეგად D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ პაციენტებში პაროდონტის ანთებითი დაავადები არ გამოვლინდა [99].

მიუხედავად იმისა, რომ D ვიტამინდამოკიდებული რაქიტი ბავშვებში კარგად არის შესწავლილი, მწირია მონაცემები ყბა-კბილთა სისტემის ანომალიებისა და სტომატოლოგიური დაავადებების შესახებ. D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის

დროს კი არსებული კვლევები შემოიფარგლება ერთეული შემთხვევის აღწერით ან მცირე შემთხვევათა სერიის განხილვით; არ არის განხორციელებული კონტროლირებადი კვლევები. ინტერესს იწვევს D ვიტამინდამოკიდებული რაქიტისა და რაქიტისმაგვარი დაავადებების მქონე პაციენტთა სტომატოლოგიური სტატუსის შედარებითი ანალიზი; არ არის ჩატარებული რაქიტისმაგვარი დაავადებების მქონე ბავშვების სტომატოლოგიური მახასიათებლების კომპლექსური კვლევა, რაც ჩვენი კვლევის აქტუალობას განაპირობებს.

ჩვენი კვლევის მიზანია სტომატოლოგიური მახასიათებლების შესწავლა D ვიტამინრეზისტენტული და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს.

ამოცანები:

1. ყბა-კბილთა ანომალიების განაწილება და მათი განვითარების ფარდობითი შანსის შეფასება D ვიტამინრეზისტენტული და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებულ ბავშვებში;
2. კარიესის მახასიათებლების სიხშირეთა შეფასება D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის, D ვიტამინდამოკიდებული რაქიტისა და საკონტროლო ჯგუფებში;
3. კარიესის განვითარების ფარდობითი შანსის დადგენა D ვიტამინრეზისტენტული რაქიტისა და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს ბავშვებში;
4. სტომატოლოგიური ინდექსების შედარებითი ანალიზი D ვიტამინრეზისტენტული და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს ბავშვებში;
5. პაროდონტის დაავადებათა სიხშირის, სტრუქტურის შესწავლა და განვითარების ფარდობითი შანსის შეფასება D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს ბავშვებში;
6. პაციენტთა ბიოქიმიური მახასიათებლების კორელაციების განსაზღვრა თანკბილვის ანომალიებთან, კბილებისა და პაროდონტის დაავადებებთან D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტის დროს.

სამეცნიერო სიახლე:

პირველად, D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს ბავშვებში, ჩატარდა:

1. ყბა-კბილთა ანომალიების განაწილების და მათი განვითარების ფარდობითი შანსის შეფასება D ვიტამინრეზისტენტული და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებულ ბავშვებში;

2. კარიესის მახასიათებელთა სიხშირეების შეფასება D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის, D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის და საკონტროლო ჯგუფებში;

3. კარიესის განვითარების ფარდობითი შანსის დადგენა D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს ბავშვებში;

4. სტომატოლოგიური ინდექსების შედარებითი ანალიზი D ვიტამინრეზისტენტული და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს ბავშვებში;

5. პაროდონტის დაავადებების სიხშირისა და სტრუქტურის შესწავლა, მათი განვითარების ფარდობითი შანსის შეფასება D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს ბავშვებში;

6. განისაზღვრა პაციენტთა ბიოქიმიური მახასიათებლების კორელაციები თანკბილვის ანომალიებთან, კბილებისა და პაროდონტის დაავადებებთან D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს.

პრაქტიკული ღირებულება: კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის შედეგად განვითარებული სტომატოლოგიური დაავადებების ადრეულ დიაგნოსტიკას და პრევენციას.

ნაშრომში მოცემული პრაქტიკული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას გართულებების პროგნოზირებისა და რისკის ჯგუფის გამოყოფისათვის.

შრომის აპრობაცია და პუბლიკაცია: დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია სამი სამეცნიერო ნაშრომი, სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები

მოხსენებულია ევრაზიის II საერთაშორისო მულტიდისციპლინურ ფორუმზე (თბილისი. 26.10.2014).

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი წარმოდგენილია 125 გვერდზე და მოიცავს შემდეგ ნაწილებს: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, საკუთარი გამოკვლევის შედეგები, მიღებული შედეგების ანალიზი, დასკვნები, პრაქტიკული რეკომენდაციები, გამოყენებული ლიტერატურის სია, რომელიც მოიცავს 171 წყაროს. შედეგები ასახულია 14 დიაგრამასა და 18 ცხრილში, ნაშრომი ილუსტრირებულია 27 ფოტოთი.

თავი I

ლიტერატურის მიმოხილვა

რაქიტი მიეკუთვნება მსოფლიოში ერთ–ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ დაავადებას ადრეული ასაკის ბავშვებში. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში რაქიტი აღწერილია მსოფლიოს 59 ქვეყანაში [119].

რაქიტი არის ბიოქიმიური, მორფოლოგიური, რენტგენოლოგიური და კლინიკური ნიშნების სიმპტომოკომპლექსი, რომელიც შეიძლება განპირობებული იყოს მთელი რიგი ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორებით [153].

ზოგიერთი ავტორის აზრით, რაქიტი არის არასპეციფიკური სინდრომი, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა ეტიოლოგიური ფაქტორით და არ შეიძლება იგი განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი ნოზოლოგიური ფორმა [153,147].

ამავე დროს, ზოგიერთ შემთხვევაში, რაქიტი შეიძლება განვიხილოთ როგორც სინდრომი (სიმპტომოკომპლექსი), რომელიც თან ახლავს ძირითად დაავადებას ან ვითარდება ძირითადი დაავადების ფონზე. რაქიტი, როგორც სინდრომი, შეიძლება იყოს ღვიძლის ქრონიკული დაავადების, ქრონიკული პანკრეატიტის, თიროზინემიის, ვილსონის დაავადების, გლიკოგენოზის, ლოუს სინდრომის და სხვ. დაავადებების დროს [111].

თანამედროვე შეხედულების მიხედვით, რაქიტი დაავადებაა, რომელიც განპირობებულია დროებითი შეუსაბამობით კალციუმისა და ფოსფორით ორგანიზმის მოთხოვნილებასა და იმ სისტემის არასრულფასოვნებით, რომელიც უზრუნველყოფს მათ მიწოდებას ორგანიზმისთვის [56,100,47,156].

ბოლო წლების მკვლევართა [158,152] მონაცემებით, რაქიტი განისაზღვრება, როგორც დაავადება, რადგან მისი ზოგიერთი ფორმა წარმოადგენს დამოუკიდებელ ნოზოლოგიურ ფორმებს: რაქიტი ადრეულ ასაკში, D ვიტამინდეფიციტური რაქიტი, D ვიტამინდამოკიდებული რაქიტი, ჰიპოფოსფატემიური D ვიტამინ-რეზისტენტული რაქიტი (ფოსფატ-დიაზეტი)[152,153].

ძვლის მეტაბოლიზმის დარღვევით მიმდინარე იშვიათი პათოლოგიების უმრავლესობა მიმდინარეობს როგორც საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის, ჩონჩხოვანი სისტემის, ასევე, ზოგადად, კბილებისა და პაროდონტის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებით.

D ვიტამინდამოკიდებული რაქიტი წარმოადგენს ენზიმოპათიას, რომელიც დაკავშირებულია ალფა 1 - ჰიდროქსილაზის ფერმენტის დეფექტთან, რომელიც ახორციელებს 25-ოქსიქოლეკალციფეროლის გარდაქმნას 1,25 დიოქსიქოლეკალციფეროლად, რაც იწვევს ოსტეოპოროზს, ზრდაში ჩამორჩენას, ძვლების დეფორმაციას, კალციუმის, ფოსფორისა და მაგნიუმის აბსორბციის დაქვეითებას, კარიესს, კუჭ-ნაწლავის მოტორიკის ცვლილებას, ბილიარული ფუნქციის დარღვევას და სხვ. დაავადებას გააჩნია აუტოსომურ – რეცესიული მემკვიდრული გადაცემის ტიპი, თუმცა გვხვდება დაავადების სპორადიული შემთხვევებიც, რომლებიც განპირობებულია ახალი პირველადი მუტაციით[86,66].

კლინიკურად პათოლოგია ყველაზე ხშირად ვლინდება 3–5 თვის ასაკში, უფრო იშვიათად იწყება 3–5 წლის ასაკში. კლინიკური ნიშნები მოიცავს: სიმაღლეში ჩამორჩენას, ჰიპოტონიას, სისუსტეს, რაქიტის სამაჯურებს, ტეტანიას, ღია ყიფლიბანდს, პათოლოგიურ მოტეხილობას.

მეტაბოლური დარღვევების სიმძიმიდან გამომდინარე, გამოყოფენ D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის 2 კლინიკურ–ბიოქიმიურ ვარიანტს: მძიმე და

ზომიერი. პირველი ვარიანტისთვის დამახასიათებელია: ქვედა კიდურების ვარუსული დეფორმაცია, გულმკერდის, თავის, წინამხრის დეფორმაციები, რაქიტის სამაჯურები, გამოხატული ჰიპოკალციემია(1,4—1,7მმოლი/ლ), სისხლში გაზრდილი ტუტე-ფოსფატაზას აქტივობა და მომატებული ფოსფორის ექსტრაქცია,მარდში კალციუმის გამოყოფის შემცირება, გენერალიზებული ჰიპერამინოაციტურია. რენტგენოლოგიურად აღინიშნება ძვლოვანი ქსოვილის სტრუქტურის ღრმა დარღვევები (გენერალიზებული ოსტეოპოროზი, ფართო რაქიტული ზონა, მეტაფიზის კონტურების არაერთგვაროვნება). სქესის მიხედვით განსხვავება არ ფიქსირდება, რაც აიხსნება აუტოსომურ–რეცესიული გადაცემის ტიპით მაშინ, როდესაც D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს ჭარბობს მდედრობითი სქესი [38,73].

მეორე ვარიანტისთვის დამახასიათებელია ძვლების მსუბუქი და ზომიერი დეფორმაციები,უმეტესად ქვედა კიდურების,ზომიერი ჰიპოკალციემია (1,9—2,2 მმოლი/ლ). პათოლოგიის პირველი ვარიანტი დაკავშირებულია 1,25-დიოქსიქოლეკალციფეროლის გამოხატულ დეფიციტთან [108,122].

D ვიტამინდამოკიდებული რაქიტისთვის დამახასიათებელია შემდეგი სტომატოლოგიური დარღვევები: კბილების დაგვიანებული ამოსვლა,მინანქრის ჰიპოპლაზია, დენტინის დეფექტები, გაფართოებული პულპური ღრუ, დენტინის თხელი შრე, სპონტანური ღრძილის და კბილის აბსცესები ტრავმის და კარიესის გარეშე, მოკლე ფესვები [14,846,114].

I ტიპის D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებული 10 წლის გოგონას შემთხვევის აღწერის სტომატოლოგიურმა ანალიზმა აჩვენა: მუდმივი კბილების შესამჩნევი ჰიპოპლაზია, ყველა მუდმივ კბილზე მოყვითალო-მოყავისფრო ლაქები, თანკბილვის დარღვევა, პაროდონტიტი, ფართო ოთხკუთხა პულპური ღრუ, მოკლე ფესვები. სინათლის მიკროსკოპურმა და ულტრასტრუქტურულმა კვლევამ აჩვენა კბილის მაგარი ქსოვილების ანომალიები, რომლებიც მოიცავს როგორც მინანქარს, ისე დენტინს [135].

D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებული 27 ბავშვის კლინიკურმა და კლინიკურ-ბიოქიმიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ პაციენტებს დაავადება დაეწყოთ სიცოცხლის პირველსავე წელს და ცვლილებები ატარებდა პროგრესირებად ხასიათს. ბავშვებს აღენიშნებოდათ ჩონჩხის გამოხატული რაქიტული დეფორმაციები (ქვედა კიდურების ვარუსული და/ან ვალგუსური დეფორმაციები, რაქიტული სამაჯურები), კუნთების ჰიპოტონია, ფიზიკურ განვითარებაში ჩამორჩენა.

სისხლის შრატის და შარდის ბიოქიმიურმა კვლევამ აჩვენა, რომ ტუტე ფოსფატაზას აქტიურობა სისხლის შრატში მომატებული იყო 27-დან 25 პაციენტში, არარორგანული ფოსფორის კონცენტრაცია შემცირებული იყო 14 პაციენტში, პარათირეოიდული ჰორმონი სისხლში მომატებული იყო 11-დან 7 პაციენტში, კალციტონინი - 2 პაციენტში, ხოლო ოსტეოკალცინი - ყველა გამოკვლეულ პირში. კალციუმის ექსკრეცია შარდში შემცირებული იყო 27-დან 24 პაციენტში [142].

ამ ჯგუფის ბავშვების სტომატოლოგიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ კბილების კარიესული დაზიანება აღინიშნა 21 ბავშვში, ე.ი. კარიესის გავრცელება D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებულ პაციენტებში შეადგენდა 77,8%-ს. 11-დან 7 შემთხვევაში აღინიშნა სარძევე კბილების კარიესი 5 წლამდე ბავშვებში (63,6%). მუდმივი კბილების კარიესი 6-12 წლის ბავშვებში აღინიშნა 50%-ში (4-8-დან). 8-დან 7 შემთხვევაში 13-16 წლის ასაკში მუდმივი კბილების კარიესი (კარიესის გავრცელება) შეადგენდა 87,5%-ს. კარიესის ინტენსივობა საშუალოდ კბ ინდექსის მიხედვით შეადგენდა 8,1, კბა+კბ-ის მიხედვით 4,75-ს, კბა ინდექსი 6-12 წლის ასაკში შეადგენდა 1,75. კარიესის საშუალო ინტენსივობა კბა ინდექსის მიხედვით 13-16 წლის ასაკში შეადგენდა 7,75-ს. ეს მონაცემები მიუთითებს D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებულ ბავშვებში კარიესული პროცესის მაღალ გავრცელებასა და ინტენსივობაზე.

ბავშვების უმრავლესობას ადრეულ ასაკში ესაჭიროება სტომატოლოგიური დახმარება. სარძევე კბილების კარიესის გამო 1-5 წლის ბავშვებში სტომატოლოგიური დახმარების საჭიროების ანალიზმა გვიჩვენა, რომ 6 მათგანს ესაჭიროებოდა კბილის ექსტრაქცია რთული კარიესის გამო, 4 -ს სჭირდებოდა 1 ან

რამდენიმე სარძევე კბილის ამოღება, ხოლო 1-ს ამოუღეს 2 სარძევე კბილი ფიზიოლოგიურ ცვლამდე ადრე [143].

6-12 წლის ასაკში მუდმივი კბილების მკურნალობის საჭიროების ანალიზმა აჩვენა, რომ 4-ს დასჭირდა მკურნალობა მარტივი კარიესის გამო, ხოლო 1-ს რთული კარიესის გამო. ამ ასაკში 1-ს უკვე დასჭირდა ორთოპედიული დახმარება [142].

13-16 წლის ასაკში მუდმივი კბილების მკურნალობის საჭიროების ანალიზმა აჩვენა, რომ 6-ს დასჭირდა მკურნალობა მარტივი კარიესის გამო, ხოლო 2-ს - რთული კარიესის გამო. 1 პაციენტს უკვე ჩატარებული ჰქონდა მკურნალობა რთული კარიესის გამო, 2 პაციენტს დასჭირდა ორთოპედიული მკურნალობა [142].

D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებულ 3 ბავშვს აღნიშნა მუდმივი კბილების მინანქრის სისტემური ჰიპოპლაზია, 6-ს დაუგვიანდა პრემოლარის და მეორე მოლარის ამოჭრა. დენტოგრამაზე (19 პაციენტი) აღნიშნა პულპური ღრუს გადიდება, ქრონიკული ანთებითი პროცესი პერიაპიკალურ მიდამოში [142].

შესწავლილ იქნა II ტიპის D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებულ ბავშვებში კბილების მინერალიზაცია, კბილებისა და კბილთა რკალის ზომა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ადგილი არ შემჩნეულა დროებითი კბილების მინანქრის ჰიპოპლაზია, გაფართოებულ პულპურ ღრუ, დენტინის თხელი ფენა, მუდმივი კბილების დაგვიანებული ამოსვლა [61].

ყველაზე დიდ სიძნელეს დიფერენციალურ დიაგნოსტიკაში წარმოადგენს D ვიტამინდამოკიდებული და D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის განსხვავება. D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის სასარგებლოდ მეტყველებს ძვლოვანი დეფორმაციების პროგრესირებადი ხასიათი და კლინიკურ-ბიოქიმიური მაჩვენებლების ნორმალიზაციის ნიშნების არარსებობა 6-8 კვირის განმავლობაში D ვიტამინით მკურნალობის ფონზე, აგრეთვე კალციუმის დაბალი დონე და სისხლში 25- ოქსიქოლექალციფეროლის შემცველობის ნორმალური დონე [73,83].

მემკვიდრული რაქიტისმაგვარი დაავადებები აერთიანებს რამდენიმე დამოუკიდებელ ნოზოლოგიურ ფორმას (დღემდე აღწერილია 30-მდე), რომელთა შორის დიდი ხვედრითი წილი უკავია D ვიტამინრეზისტენტული რაქიტს [165].

პირველად ტერმინი „D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი“ გამოყენეს ამ ფორმის რაქიტის D ვიტამინის მაღალი დოზებით არაეფექტური მკურნალობის აღსანიშნავად. პათოლოგია პირველად აღწერა ოლბრაიტმა 1937 წ. დაავადებას ახასითებს სრული პენეტრანტობა. ქალი გადასცემს პათოლოგიურ ნიშანს ქალიშვილებს და ვაჟებს 50% ალბათობით, ხოლო კაცები ქალიშვილებს–100%-ით. ბიჭებში დაავადება მიმდინარეობს მძიმედ ქალებთან შედარებით. გავრცელების სიხშირეა 1:20000–25000. [1,64]-ის მონაცემებით სიხშირე შეადგენს 1:12-20ათასს [158,41,83].

პოსტრაქიტული დეფორმაციებიდან ყველაზე დიდ პროცენტს შეადგენს ქვედა კიდურების (63%) და ხერხემლის (65%) დეფორმაცია[139].

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი, X-თან შეჭიდული დომინანტური გადაცემის ტიპით, განპირობებულია თირკმლის ტუბულარული აპარატის პათოლოგიით[106], წვრილ ნაწლავში კალციუმის და ფოსფორის აბსორბციის დარღვევით; მიეკუთვნება მემკვიდრული ტუბულოპათიების ჯგუფს, რომელთა კლინიკური სურათი დაავადების ადრეულ სტადიაზე იმიტირებს რაქიტს, თუმცა არ უკავშირდება D ვიტამინის დეფიციტს; იგი მიეკუთვნება ძვლის მეტაბოლიზმის დარღვევით მიმდინარე იშვიათ პათოლოგიებს, რომელთა უმრავლესობა მიმდინარეობს როგორც ჩონჩხოვანი სისტემის, ასევე ზოგადად კბილებისა და პაროდონტის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებით [40,51,134].

პაციენტებს აღენიშნებათ ფოსფორის დაბალი შემცველობა, პარათირეოიდული ჰორმონის ნორმალური დონე, კალციუმის დონე სისხლში ნორმაშია, ან ნორმაზე დაბალი[99].

კლინიკური პოლიმორფიზმი, განსაკუთრებით პათოგენეზის და მეტაბოლური დარღვევების მხრივ და D ვიტამინზე საპასუხო რეაქციის ფართო დიაპაზონი

მიუთითებს D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის გენეტიკურ ჰეტეროგენობაზე [77].

ძირითადი სიძნელე ამ დაავადების დიაგნოსტიკაში ისაა, რომ არსებობს დიდი რაოდენობით გენი-კანდიდატები და არ არსებობს კონკრეტული კლინიკურ-ლაბორატორიული კრიტერიუმები, რომელებიც ამ დაავადებების დიფერენცირების საშუალებას მოგვცემდა.

დამტკიცებულია, რომ ფოსფატის ცვლის მარეგულირებელი გენი (PNEX) ლოკალიზებულია X ქრომოსომაში X_p 22 ლოკუსით. იგი მონაწილეობს ძვლოვანი ქსოვილის მინერალიზაციის პროცესში [43,44,27]. ღრმა მოლეკულურ-გენეტიკური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არსებობს D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის ისეთი ფორმა, რომლის მემკვიდრული გადაცემის ტიპია აუტოსომურ-დომინანტური, 12p13 ლოკუსით [39,132,103,97,34]. PNEX ექსპრესირდება ძვლოვან ქსოვილსა და კბილებში [6,70,95,62]. კვლევებმა აჩვენა, რომ PNEX ჩართულია ფოსფატონინის (ფოსფატ-მარეგულირებელი ჰორმონი) ინაქტივაციაში [138,55,79,115,89].

ჰიპოფოსფატემიური რაქიტის მქონე პაციენტებისთვის დადგენილია გენის მუტაცია – ფოსფორის კოტრანსპორტიორი (Na-PiI, Na-PiIIa и Na-PiIIc, Na-PiIII), რომელიც უზრუნველყოფს ფოსფორის ტრანსპორტირებას და ნორმალურ ჰომეოსტაზს [163,140, 7,17,80,58].

ჩატარებული კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ იმ ბავშვებში, რომლებიც არიან CYP2C9 გენის “ნელი” ალელური ტიპის მატარებლები, აღენიშნებათ 25(OH)D3-ის შემცირება. რაქიტითა და რაქიტისმაგვარი დაავადებების მქონე პაციენტებში აღინიშნება გენოტიპი, რომელიც წარმოადგენს CYP2C9*3 და CYP2C9*2 გენის “ნელი” ალელური ტიპის ჰეტეროზიგოტას [42,85,94,105]. ამგვარად, სისხლში 25(OH)D3-ის დაბალი შემცველობა შეიძლება აიხსნას D ვიტამინის ცვლის გენეტიკურად დეტერმინირებული დარღვევით და კერძოდ, ვიტამინ D3 – 25(OH)D3-ით, რაც მიუთითებს, რომ მიზანშეწონილია ამ კონტინგენტის

პაციენტებში იმ ვიტამინ-მინერალების კომპლექსის გამოყენება, რომელიც შეიცავს D3 [65,28,129,170,6,9].

განასხვავებენ D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის X ქრომოსომასთან შეჭიდული დომინანტური გადაცემის ტიპის 4 კლინიკურ-ბიოქიმიურ ვარიანტს:

I ვარიანტი: ხასიათდება ადრეული მანიფესტაციით, უმნიშვნელო ძვლოვანი დეფორმაციით, ჰიპოფოსფატემიით, ჰიპერფოსფატურიით, პარატჰორმონის მომატებული დონით, სისხლში კალციუმის დონის შემცირებით, D ვიტამინის კარგი ამტანობით.

II ვარიანტი: გამოირჩევა შედარებით გვიანი მანიფესტაციით (2 წ.), გამოხატული ძვლოვანი დეფორმაციით, ჰიპოფოსფატემიით, მნიშვნელოვანი ჰიპერფოსფატურიით, D ვიტამინის მაღალ დოზებთან რეზისტენტობით.

III ვარიანტი ხასიათდება გვიანი მანიფესტაციით (5-6 წ.), ძვლოვანი სისტემის რთული დეფორმაციით, გამოხატული ჰიპოფოსფატემიით, ფოსფორის დონის მნიშვნელოვანი აბსორბციით ნაწლავებში, ნორმალური ან მნიშვნელოვანი ჰიპერფოსფატურიისას D ვიტამინის მაღალ დოზებთან რეზისტენტობით.

IV ვარიანტი: აღინიშნება გვიანი მანიფესტაცია (2წ), ზომიერი ძვლოვანი დეფორმაცია, მაღალი მგრძობელობა D ვიტამინის მიმართ. აღინიშნება D ვიტამინის ჰიპერვიტამინოზის სურათი (დებინება, ჰიპერკალციემია, ჰიპერკალციურია) ვიტამინის უმნიშვნელო დოზის შემთხვევაშიც კი[81].

მემკვიდრული ჰიპოფოსფატემიური რაქიტი წარმოადგენს დაავადებათა ჯგუფს: მემკვიდრული I ტიპის ჰიპოფოსფატემია (HPDR I); მემკვიდრული II ტიპის ჰიპოფოსფატემია (HPDR II); ჰიპოფოსფატემიური D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი I ტიპი ; ჰიპოფოსფატემიური D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი II ტიპი; ფოსფატ დიაბეტი; X ქრომოსომასთან შეჭიდული ჰიპოფოსფატემია (XLH); X ქრომოსომასთან შეჭიდული D ვიტამინრეზისტენტული რაქიტი; აუტოსომურ-დომინანტური ჰიპოფოსფატემიური რაქიტი (ADHR); აუტოსომურ-რეცესიული

ჰიპოფოსფატემიური რაქიტი (ARHR). ყველაზე გავრცელებული ფორმაა XLH X – თან შეჭიდული ჰიპოფოსფატემიური რაქიტი, ხოლო დანარჩენ ფორმას ახასიათებს დაბალი გავრცელება [87,73,138,141,150]. X ქრომოსომასთან შეჭიდული ჰიპოფოსფატემიური რაქიტი მემკვიდრეობითი დაავადება, რომელიც განპირობებულია თირკმლის მილაკებში ფოსფორის რეაბსორბციის მოშლით და ხასიათდება ძვლოვანი სისტემის რაქიტისმაგვარი ცვლილებებით. დაავადების განვითარება დაკავშირებულია ფოსფატის და კალციუმის რეაბსორბციის შემცირებასთან, ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერფუნქციასთან [128,110,31,73,19,45].

X ქრომოსომასთან შეჭიდული ჰიპოფოსფატემიის დროს კლინიკურად დაავადება ვლინდება ფეხების O-ს მაგვარი დეფორმაციით, სიმაღლეში ჩამორჩენით, ჰიპოკალციემიით, ოსტეოიდური ქსოვილების ჰიპიპლაზიით, არ აღინიშნება მიოპათია, კალციუმის დონე ნორმალურია ან უმნიშვნელოდ შემცირებული (2,25-2,37 მმოლი/ლ). გააჩნიათ დიდი კუნთოვანი ძალა. გოგონებს ძვლოვანი დეფორმაციები ნაკლებად აქვთ გამოხატული, არცთუ იშვიათად აღენიშნებათ საგიტალური კრანოსინოსტოზი, კბილების დეფორმაცია და დაზიანება, ინტერგლობულარული დენტინი. ჩვეულებრივ, არ აღინიშნება კბილის მინანქრის ჰიპოპლაზია. არ გვხვდება გლუკოზურია, კალიურია, ამინოაციდურია. პარათირეოიდული ჰორმონი ნორმაშია, ტუტე ფოსფატაზა ზომიერადაა მომატებული [15,23].

აუტოსომურ-დომინანტური ჰიპოფოსფატემიის დროს ძვლების დაზიანება კლინიკური და ლაბორატორიული მაჩვენებლებით არ განსხვავდება X ქრომოსომასთან შეჭიდული ჰიპოფოსფატემიისგან, მაგრამ დეფორმაცია ნაკლებად მძიმეა, პაციენტები უფრო ასთენიურები არიან და გამოხატული სიდაბლე არ აღენიშნებათ. რაქიტული ცვლილებები ეპიფიზურ ზონებში არ გვხვდება, ან მინიმალურია. დომინირდება ოსტეომალაცია, ფოსფორის რეაბსორბცია თირკმლებში გაუმჯობესებულია პარათირეოიდული ჰორმონის მოქმედების შედეგად.

ძვლების აუტოსომურ-რეცესიული ჰიპოფოსფატემიური დაზიანება ჰიპერკალციურიით მიგვითითებს ჰიპოფოსფატემიური დაზიანების სხვა

ვარიანტზე, მაგრამ ამ დროს არსებობს კუნთოვანი სისუსტე და ოსტეოპენიური ცვლილებები რენტგენოგრაფიაზე, თუმცა ჰიპერპარათირეოდიზმი არ აღინიშნება [54].

ჰიპოფოსფატემიური რაქიტი, ისევე როგორც სხვა ტუბულოპათია, იმალება D ვიტამინ ირეზისტენტული რაქიტის ნიღბის ქვეშ, რასაც მივყავართ არაადექვატურ თერაპიამდე. უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ეთმობა ჰიპოფოსფატემიის მექანიზმის შესწავლას. გენეტიკური მუტაციების გარკვევა ხსნის ახალ შესაძლებლობებს ჰიპოფოსფატემიური რაქიტის პათოგენეზის შესწავლასა და ადეკვატური მკურნალობის შესაძლებლობაში. მოლეკულურ-გენეტიკური კვლევების შედეგად დადგენილია ამ პათოლოგიის 8 დამოუკიდებელი ნოზოლოგიური ფორმა. დადგენილია ასევე გენის ლოკუსები, ქრომოსომური ლოკალიზაციები. მოცემულია თითოეული ფორმის კლინიკური დახასიათება, რამაც მოითხოვა გენოფენოტიპური კორელაციის განსაზღვრის აუცილებლობა, რაც მნიშვნელოვანია ეფექტური თერაპიისა და მედიკო (სამედიცინო)-გენეტიკური პროგნოზირებისთვის [148,150,13,74].

ფოსფატდიაბეტის დაავადების ნიშნები ვლინდება 2წ.-ის, იშვიათად 1 წ.-ის ასაკში. აღინიშნება შუბლისა და თხემის, კიდურების, გულმკერდის დეფორმაცია, სიმაღლეში ჩამორჩენა ქვედა კიდურების დეფორმაციის ხარჯზე. პაციენტთა უმრავლესობას აღინიშნება კუნთოვანი ჰიპოტონია, სიარულს იწყებენ 1.5-2 წ. ასაკში [88,157,22,110].

ანომალური ჰიპოფოსფატური დენტინი შეიცავს არაკოლაგენური ფოსფორილებული მატრიცული ცილების დეჰიდრირებულ ფრაგმენტებს. PHEX არის ერთადერთი ფერმენტი, რომელსაც შეუძლია ASARM პეპტიდების დაშლა, რომელთა დაგროვება იწვევს მინერალიზაციის დარღვევას [13,23,129,135,79].

მიუხედავად D ვიტამინრეზისტენტული და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის ფენოტიპური მსგავსებისა, კლინიკურ - ლაბორატორიული მაჩვენებლების შედარება მიგვანიშნებს მათ ჰეტეროგენურ ბუნებაზე.

კალციუმის დონე, არაორგანული ფოსფორის შემცველობა სისხლის შრატში არ განსხვავდება შესადარებელ ჯგუფებში. D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს სარწმუნოდ არის შემცირებული იონიზებული კალციუმის კონცენტრაცია, კალციტონინის შემცველობა, და არაორგანული ფოსფორის კლირენსი, ტუტე ფოსფატაზა სარწმუნოდაა მომატებული. ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური აქტივობა დამოკიდებულია დაავადების ფორმაზე. D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს პარათირეოიდული ჰორმონის საშუალო მნიშვნელობა მეტია D ვიტამინრეზისტენტულ რაქიტთან შედარებით.

სისხლში აღინიშნება ჰიპოფოსფატემია, კალციუმის დონე ნორმალურია ან ზოგჯერ შემცირებული, ტუტე ფოსფატაზას აქტივობა - გაზრდილი. შარდში მაღალია ფოსფატის შემცველობა. რენტგენოლოგიურად ძვლის ცვლილებები ძალიან ჰგავს ჩვეულებრივი რაქიტის ცვლილებებს [12].

კალციტონინი იწვევს ჰიპოკალცემიას და ჰიპოფოსფატემიას. კალციტონინის სეკრეცია რეგულირდება იონიზებული კალციუმის კონცენტრაციის ცვლილებით სისხლში: კალციუმის კონცენტრაციის ზრდა ხელს უწყობს კალციტონინის სეკრეციის სტიმულირებას. კალციტონინი მოქმედებს ოსტეოკლასტებსა და თირკმლის მილაკების უჯრედებზე. ოსტეოკალცინის კონცენტრაცია სისხლში არის ძვლოვანი ქსოვილის მეტაბოლიზმის მაჩვენებელი. მისი ძირითადი ფუნქციაა ძვლების დაცვა ჭარბი მინერალიზაციისგან. უნდა აღინიშნოს შემაერთებელი ქსოვილის (კოლაგენური და არაკოლაგენური ცილის) ელემენტების მნიშვნელოვანი როლი ძვლოვანი ქსოვილის სტრუქტურის ფორმირებაში [166]. არის კვლევები, რომლებიც მიუთითებენ რაქიტისმაგვარი დაავადებების დროს შემაერთებელი ქსოვილის მეტაბოლიზმის დარღვევაზე [17,32,98].

კალციუმისა და ფოსფორის შეფარდების სხვაობა განაპირობებს ძვლების არასწორ მინერალიზაციას, არღვევს მის ზრდასა და სიმტკიცეს, ავადდება ბავშვები ერთი-სამი წლის ასაკში, ზოგჯერ კი სქესობრივი მომწიფების დროს [154,161,168]. რაქიტის წარმოშობის მთავარი მიზეზია კალციუმისა და ფოსფორის

არასწორი შეფარდება. კალციუმისა და ფოსფორის ნორმალური შეფარდებაა 2:1 ან 1,5:1-თან [96,72,36,7,32,76,120].

შესწავლილ იქნა 48 პაციენტი რაქიტისმაგვარი დაავადებებით. 47-ს აღენიშნებოდა ტუტე ფოსფატაზას მომატება. პარათირეოიდული ჰორმონის და კალციტონინის შემცველობა სისხლში შემცირებული იყო 12-დან 10 პაციენტში. ოსტეოკალცინის დონე მომატებული იყო ყველა პაციენტში. 40-ს აღენიშნა ფოსფატის კლირენსის მომატება, 41 პაციენტს შარდში შემცირებული ჰქონდა კალციუმი [142].

ჩონჩხის მხრივ ვითარდება ისეთი მკაფიო ცვლილებები, როგორებიცაა კეფის დარბილება და გაბრტყელება, დიდი და მცირე ყიფლიბანდის კიდების დარბილება, დიდი ყიფლიბანდის დაგვიანებით დახურვა, თავის ასიმეტრია[169]. ამას მოჰყვება ძვლოვანი ქსოვილის ჭარბად განვითარება: მკაფიოდ იკვეთება შუბლის და თხემის ბორცვები, შუბლი ხშირად ოლიმპიურია. რაქიტული ბავშვის თავი ხშირად შედარებით დიდია და კანქვეშა ვენური ქსელი გამოხატული. გვიანდება კბილების ამოჭრა[144], ირღვევა მათი თანმიმდევრობა, არცთუ იშვიათად ყბებს შორის შეთანასოვნება, თანკბილვა. აღინიშნება ცვლილებები გულმკერდისა და კიდურების მხრივაც. გულმკერდი დეფორმაციას განიცდის, ნეკნებზე (ძვლოვანი ნაწილის ხრტილში გადასვლის ადგილზე) ირიბად შემსხვილებებია, ლავიწის ძვლები რამდენადმე დეფორმირებულია, მაჯის არეები და ფალანგები ზოგჯერ გამსხვილებული. ქვედა კიდურების O-სებრი (გარეთ გაზნექილი) ან X-სებრი (მუხლის არეში შიგ შედრეკილი და ურთიერთმიახლოებული) დეფორმაცია ვლინდება მას შემდეგ, რაც ბავშვი სიარულს იწყებს.

დეფორმაციას განიცდის მენჯი და ტერფები. რაქიტის დროს ფსიქონერვული და მოტორული აპარატის ფუნქციური ცვლილებების გამო ბავშვი გვიან იწყებს ჯდომას, ცოცვას, დგომას, სიარულს. ყურადღებას იპყრობს კუნთების ტონუსის მნიშვნელოვანი დაქვეითება. რაქიტის დროს ირღვევა ცილების და ლიპიდების ცვლა, ამასთან ცხიმმჟავას ახასიათებს რაქიტის მასტიმულირებელი ეფექტი. დეფორმაციას განიცდის როგორც კიდურების ლულოვანი ძვლები, ასევე ხერხემალიც. დარღვევები ზოგჯერ ისეთ მასშტაბს იღებს, რომ ძვლოვანი ქსოვილი

და მყესები ერთმანეთს სცილდება. მნიშვნელოვანი ცვლილებები აღინიშნება იმ ძვლებში, რომელთა ხრტილებიც განაპირობებს მაქსიმალურ ზრდას. ხრტილის ზედაპირი ხდება უხეში, უსწორმასწორო და ხორკლიანი. აღნიშნული დეფორმაცია ხშირად გვხვდება ნეკნებისა და ნეკნების ხრტილების შეერთების ადგილზე. ნეკნები ხდება მოკლე და დეფორმირებული [58,151].

მძიმე ფორმის რაქიტის დროს გულმკერდი გამოიდრიკება (ე.წ. “ქათმის გულმკერდი”) ან პირიქით – ჩაიდრიკება (ე.წ. “მეწაღის გულმკერდი”). დეფორმაციას განიცდის ქვედა კიდურებიც, თავი კრანოტაბესი, ქალას ძვლების გარბილება, კვადრატული თავი.ყბის ძვლების დეფორმაციამ შეიძლება გააძნელოს საკვების მიღება და შეცვალოს კბილების ფორმა. გულმკერდი ქათმისებური ან მეწაღისებური, რაქიტული კრიალოსანი, ჰარისონის ღარი. მენჯი – წინა-უკანა დიამეტრის შემცირება, ანუ ბრტყელი მენჯი. კიდურები (ზედა და ქვედა) – მაჯებზე - “რაქიტული სამაჯურები”, თითის ფალანგებზე “მარგალიტის მძივები”, ფეხების გამრუდება ვალგუსური(X-ის მაგვარი) ან ვარუსული (O-ს მაგვარი),სახსრები – ჰიპერმობილურობა. კუნთთა ტონუსის გამოხატული დაქვეითება[82,29].

საშუალო სიმძიმის რაქიტის შემთხვევაში ძვალსახსროვანი სისტემის მხრივ აღინიშნება ქალას ძვლების დარბილება, კვადრატული თავი, თხემის ბორცვების მკვეთრი გამობერილობა, უნაგირა ცხვირი, კბილების ამოჭრის ვადების და თანკბილვის დარღვევა. გულმკერდი შესაძლებელია იყოს ქათმისებური ან მეწაღისებური, განვითარებულია კიფოზი, სკოლიოზი, ლორდოზი. კუნთთა ტონუსი მკვეთრად დაქვეითებული.რაქიტის მსუბუქი ფორმისგან განსხვავებით, აღინიშნება რენტგენოლოგიური ცვლილებები.

მძიმე რაქიტის შემთხვევაში ზემოაღწერილ კლინიკურ ნიშნებთან ერთად დამატებით ვლინდება ცვლილებები შინაგანი ორგანოების მხრივ. სასუნთქი მუსკულატურის ტონუსის დაქვეითებამ და გულმკერდის დეფორმაციამ შეიძლება გამოიწვიოს ვენტოლაციის დარღვევა, სასუნთქი გზების დახშობა და აქედან გამომდინარე, ხშირი ინფექციები.კუნთების მოდუნების გამო,შესაძლებელია, განვითარდეს საზარდულის, ჭიპის ან თეთრი ხაზის თიაქარი.

კლასიკური და რაქიტისმაგვარი დაავადების დროს ორივე შემთხვევაში დაზიანებულია ძვლოვანი სისტემა, რაც დაკავშირებულია კალციუმ-ფოსფორის ცვლასთან[102]. ამის გამო გამწვანებულია კლასიკური რაქიტის და რაქიტისმაგვარი დაავადებების დიფერენციალური დიაგნოსტიკა.ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რაქიტისმაგვარი დაავადებები განსხვავდება კლასიკური რაქიტისგან ეტიოლოგიით, პათოგენზით და გამოვლენის სიმძიმით [169,129,114].

მემკვიდრული რაქიტისმაგვარი დაავადების დროს საკმაოდ ხშირია სტომატოლოგიური დარღვევები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში არ დიაგნოსტირდება, ან გამოვლინდება გვიან [70,33,4].

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს აღინიშნება შემდეგი სტომატოლოგიური დარღვევები: კბილებისა და ყბების ჰოპოკალციფიკაცია, ჰიპომინერალიზაცია, მინანქრის ჰიპოპლაზია, ჰოპოფოსფატემია, რომელიც იწვევს ინტერგლობულარული დენტინის ჩალაგებას კბილის შიგნით [59,68,99], რაც მნიშვნელოვნად აუარესებს კბილის ქსოვილთა კალციფიკაციას და იწვევს მინანქარზე მიკროსკოპული ბზარების გაჩენას. მინანქრის და დენტინის ჰიპომინერალიზაცია ზრდის მიკრობების შეღწევადობას კბილის შიგნით, რაც ხელს უწყობს პირის ღრუში აბსცესის წარმოქმნას [87,117,30,13,107,78]. აღინიშნება სარძევე კბილების გვიანი და არარეგულარული ამოჭრა, ძალიან ხშირია მინანქრის დეფექტი, სარძევე და მოგვიანებით მუდმივი კბილების კარიესს. კბილების დაზიანების მიზეზს ხსნიან იმით, რომ ერთი მხრივ, კბილების ჩასახვა ხდება სიცოცხლის პირველ თვეებში, როდესაც რაქიტი აქტიურ ფაზაშია, მეორე მხრივ, ყბის ძვლების დეფორმაციის (პარაბოლური ფორმის ნაცვლად დებულობს ტრაპეციის ფორმას) გამო თანკბილვის დარღვევით. ამ პათოლოგიის მქონე პაციენტებს აღინიშნებათ მაღალი სასა[129,169].

მძიმე სტომატოლოგიური დარღვევები, რომლებიც აღინიშნებათ ჰიპოფოსფატემიური რაქიტის მქონე პაციენტებს, არის ან PHEX , ან DMP1, ან FGF23 გენის მუტაციის შედეგი[8,48]. ყველა შემთხვევაში დომინანტურ ნიშანს წარმოადგენს პულპის ქსოვილის სპონტანური ინფიცირება, რის შედეგადაც

ვითარდება კბილის აბსცესი[125]. ენდოდონტური ინფექციისგან განსხვავებით, ეს აბსცესი ვითარდება ინტაქტური კბილის მიდამოში, ყოველგვარი ტრავმის გარეშე, როგორც სარძევე, ისე მუდმივ კბილებში[26,113]. კლინიკურად კბილები გამოიყურება ნორმალურად, რაც ართულებს ინფექციის ენდოდონტიური წარმოშობის იდენტიფიცირებას. რენტგენოლოგიურად მინანქრის ფენა გათხელებულია, პულპური ღრუ გადიდებული, პულპის რქები აღწევს დენტინ-მინანქრის საზღვარს [26]. ჰისტოლოგიურად გამოსაკვლევ უბანზე აღინიშნება ბზარები მინანქარში, დენტინის მინერალიზაციის დეფექტები[127], არამინერალიზირებული ინტერგლობულარული სივრცე[24,87]. ენდოდონტიური ინფექცია არის კბილის პულპის სწრაფი ნეკროზის მიზეზი, რის საფუძველსაც ქმნის ანომალურ დენტინში წარმოქმნილი მიკრობზარები, რაც წარმოადგენს პულპაში ბაქტერიების შეჭრის მიზეზს [25].

კარიესის გავრცელება მაღალია როგორც D ვიტამინრეზისტენტულ, ისე D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით დაავადებულ პაციენტებში. ამასთან, ასაკის მატებასთან ერთად დაზიანებული კბილების რაოდენობაც იზრდება [3]. D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ ბავშვებში სარწმუნოდ მაღალია კბა ინდექსის მნიშვნელობა D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის მქონე პაციენტებთან შედარებით [133].

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის მქონე ბავშვებში აღინიშნება კარიესული პროცესის მაღალი ინტენსივობა და გავრცელება, რაც განპირობებულია ამელოგენეზისა და დენტინოგენეზის გენეტიკური დარღვევებით. აღინიშნება კარიესული პროცესის ნაკლებად რთული ფორმიდან სწრაფი გადასვლა რთულ ფორმაში, რაც აიხსნება კბილის აგებულების თავისებურებებით (დენტინის თხელი ფენა, განიერი პულპური ღრუ) [10,36,126,131].

დადგენილია პირდაპირი კავშირი კარიესის გავრცელებას, ინტენსივობასა და ორსულთა ტოქსიკოზს შორის. სწორედ გვიანი ტოქსიკოზით ხსნიან სარძევე კბილების მინანქრის არასაკმარისი კალციფიკაციას. ტოქსიკოზის კლინიკური გამოვლინება დაკავშირებულია სისხლში დიდი რაოდენობით სეროტონინის

გამოყოფასთან, რასაც თან სდევს ნაყოფის ქრონიკული ჰიპოქსია. ნაყოფის ჰიპოქსია, ისევე როგორც ახალშობილის ასფიქსია, იწვევს სერიოზულ ცვლილებებს კალციუმ-ფოსფორის ცვლის მაჩვენებლებში და უკვე დაბადებიდან 24 საათის შემდეგ ასეთ ბავშვებში აღინიშნება ჰიპოკალცემია, სისხლის შრატში არაორგანული ფოსფორის მომატება და ერითროციტებში არაორგანული ფოსფორის შემცირება. უკვე სიცოცხლის პირველივე თვეებში დიაგნოსტირდება რაქიტი, კბილების ამოჭრისას კი აღინიშნება მინანქრის პირველადი ჰიპოპლაზია [146,171,159].

[159]-ის მიერ ელექტრონული მიკროსკოპის საშუალებით დადგინდა, რომ იმ დედების შვილებს, რომელთაც ორსულობის პერიოდში არტერიული ჰიპოტონია ჰქონდათ, აღენიშნათ სისხლის მიმოქცევის დარღვევა პულპაში .

[149]-ის მონაცემებით, 1-3 წლის ასაკის ბავშვებში, რომელთა დედებს ორსულობის პერიოდში აღენიშნებოდათ: პლაცენტის ჰიპოპლაზია, ქრონიკული პიელონეფრიტი, დიაბეტი, სიმსუქნის II-III სტადია, ანემია, დიაგნოსტირებული იყო კბილების სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები.

0-5 წლამდე ასაკის ბავშვებში 20-დან 12 შემთხვევაში კარიესის გავრცელება შეადგენდა 55%-ს. 6-დან 12 წლამდე 11-დან 8 პაციენტში აღინიშნა კარიესი. კარიესის გავრცელება შეადგენდა 70.6%, აქედან 7 ბავშვს აღენიშნა მუდმივი კბილების კარიესი. 13-16 წლის ასაკში 17-დან 12 შემთხვევაში მუდმივი კბილების კარიესის გავრცელება შეადგენდა 72.7%-ს. კარიესის საშუალო ინტენსივობა კბ ინდექსით შეადგენდა 2.95; კბ+კბა-ს მიხედვით -3.88. კბა ინდექსი 6-12 წლის ბავშვებში შეადგენდა 2.71 ,13-16წლის პაციენტებში კი - 4.91.

48 პაციენტიდან 38-ს აღენიშნა კარიესი – კარიესის გავრცელება შეადგენდა 64.6% [142].

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებული ბავშვების სტომატოლოგიური სტატუსის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბავშვების უმრავლესობას ადრეულ ასაკში სჭირდება სტომატოლოგიური დახმარება[35,126]. 0–5 წლის ასაკში 20 სარძევე კბილის კარიესის მკუნალობის საჭიროების ანალიზმა აჩვენა, რომ 10–ს

ესაჭიროებოდა მკურნალობა მარტივი კარიესის გამო, 4 –ს კი რთული კარიესის გამო, 1 საჭიროებდა ერთი დროებითი კბილის ექსტრაქციას ქრონიკული მაგრანულირებული პერიოდონტიტის გამო, ხოლო 2 პაციენტს კი დროებითი კბილები უკვე ჰქონდა ამოღებული ფიზიოლოგიურ ცვლამდე[142].

6–12 წლის ასაკში 8–ს დასჭირდა მკურნალობა მუდმივი კბილების მარტივი კარიესის გამო , 3–ს ჩატარებული ჰქონდა მკურნალობა რთული კარიესის გამო, 2–ს დასჭირდა 1 ან 2 მუდმივი კბილის ამოღება, გარდა ამისა, ისინი უკვე საჭიროებდნენ ორთოპედიულ მკურნალობას. 13–16 წლის ასაკში 8–ს დასჭირდა მკურნალობა მუდმივი კბილების მარტივი კარიესის გამო, 4–ს რთული კარიესის გამო, 3–ს ჩატარებული ჰქონდა მკურნალობა რთული კარიესის გამო, 2 საჭიროებდა ორთოპედიულ დახმარებას [142].

თერაპია ვიტამინის ანალოგებითა და ფოსფატური დანამატებით დადებითად მოქმედებს პირის ღრუს მდგომარეობაზე. კბა ინდექსი ადრეული ბავშვობის პერიოდიდან ნამკურნალევ პაციენტებში ახლოსაა საკონტროლო ჯგუფთან[26].

10 წლის მანძილზე 1048 ბავშვის გამოკვლევამ და 25-ჰიდროქსი ვიტამინ D (25 (OH) D) სტატუსისა და სტომატოლოგიური მახასიათებლების კავშირის დასადგენად ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ D (25 (OH) D)-ის კონცენტრაციის გაზრდა ამცირებს მუდმივი კბილების კარიესის სიხშირეს[71].

ჰისტოლოგია

კბილის ჰისტოლოგია მოიცავს კბილ-დრძილოვანი შეერთების გადიდებას, განიერ პრედენტინს, აღინიშნება დენტინის სფეროსებრი და მილისებრი დეფექტები, ზოგჯერ მინანქრის ჰიპოპლაზია[53].

ჰისტოლოგიური კვლევით აღინიშნება მიკროორგანიზმების შეღწევა მინანქრის კალციფიცირებულ სტრუქტურაში ხილული კარიესის არარსებობის დროს, რაც მოითხოვს დროულ მკურნალობას ინფექციების თავიდან აცილების მიზნით [123,116,117].

შესწავლილ იქნა პაციენტი - 15 წლის ვაჟი. მის დედას და უმცროს დას ჰქონდათ X კრომოსომასთან შეჭიდული ჰიპოფოსფატემია მაშინ, როდესაც დანარჩენი 2 წევრი, მამა და უმცროსი და, იყო სრულიად ჯანმრთელი. ავადმყოფებს აღინიშნებოდათ სიმაღლეში ჩამორჩენა, სახსრების დეფორმაცია და ხერხემლის გამრუდება. ეს სიმპტომები უფრო მძიმე ფორმით იყო გამოხატული პაციენტში, ვიდრე დედისა და დის შემთხვევაში. პაციენტს პირის ღრუში აღინიშნებოდა რამდენიმე აბსცესი მაშინ, როდესაც არ ჰქონდა კბილის კარიესული დაზიანება ან ტრავმა. რენტგენოლოგიურმა გამოკვლევამ აჩვენა კბილის ფესვის დისპლაზია და პულპური ღრუს გადიდება; ჰისტოლოგიურად გამოვლინდა მესამე მოლარის შესამჩნევი წრიული დენტინი და პრედენტინის სიგანის მომატება. აბსცესი, შესაძლებელია, გამოწვეული ყოფილიყო პულპის ინფექციით, რაც დაკავშირებული იყო იმ ბზარებთან, რომლებიც აღინიშნებოდა მინანქარზე [87].

ჰიპოფოსფატემიური რაქიტით დაავადებული 10 მოზარდი პაციენტის პაროდონტის სტატუსის შედარებამ საკონტროლო ჯგუფში აჩვენა, რომ პაროდონტიტის გავრცელება მაღალი იყო ჰიპოფოსფატემიური რაქიტით დაავადებულ პაციენტებში (60% – 3,6% დან 7,3% -მდე კონტროლში) [133].

პაროდონტის დაავადებების გავრცელება და სიმძიმე ჰიპოფოსფატემიის დროს კონტროლთან შედარებით მნიშვნელოვნად იყო მომატებული[25].

ექსპერიმენტის ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ თავგებს, რომელთაც აღინიშნებოდათ PHEX ფერმენტის ნაკლებობა, ჰქონდათ არასრულფასოვანი

ალვეოლური ძვალი და ცემენტი [49]. კბილების ფენოტიპი კარგად კორელირებს ძვლების ფენოტიპთან და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მინერალიზაციის განსაზღვისათვის [20,25,50].

შესწავლილ იქნა რაქიტისმაგვარი დაავადებით (D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტით) დაავადებული 109 ბავშვის სტომატოლოგიური სტატუსი. პაციენტები დაყავით 3 ასაკობრივ ჯგუფად: I ჯგუფი: 3–6 წელი (სარძევე თანკბილვა), II ჯგუფი: 7-11 წელი (შერეული თანკბილვა), III ჯგუფი: 12–18 წელი (მუდმივი თანკბილვა). ღრძილების ანთებითი ნიშნები შევისწავლეთ CPITN ინდექსის მიხედვით [155] .

სისხლდენის სიხშირე ყველაზე მეტი აღმოჩნდა პაციენტთა მეორე ჯგუფში: D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის – $60,8 \pm 14,0\%$ და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის - $44,2 \pm 9,43\%$, შემთხვევაში .

კბილების ქვების სიხშირე II და III ჯგუფში შეადგენდა: D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის შემთხვევაში $8,6 \pm 6,1\%$ და $10,1 \pm 11,1\%$, D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის ჯგუფში, შესაბამისად, $13,3 \pm 6,79$ და $40,1 \pm 11,5\%$.

პათოლოგიური პაროდონტული ჯიბე აღმოჩნდა 2 პაციენტს მესამე ასაკობრივ ჯგუფში D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს. ამრიგად, ბავშვებს რაქიტისმაგვარი დაავადებით ხშირად აღენიშნებათ პაროდონტის დაზიანება [160].

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ ბავშვებს შორის D ვიტამინდამოკიდებულ რაქიტთან შედარებით, სარწმუნოდ მაღალი იყო PMA ინდექსის მნიშვნელობა, აღინიშნებოდა ღრძილების რეცესია, სისხლდენა ზონდირებისას; ძვლოვანი მასის შემცირება დაფიქსირდა 60%-ში (შესწავლილ იქნა 10 პაციენტი: 2 ვაჟი და 8 გოგო). მომატებული იყო პაროდონტის დაავადებების, პირის ღრუში აბსცესების, თანკბილვის ანომალიების, დენტინში ცვლილებების სიხშირე [133].

რაქიტით დაავადებული ბავშვები ხასიათდებიან ყბის ძვლებისა და კბილის ქსოვილების ბიოლოგიური არასრულფასოვნებით [5].

ცხოველებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ რაქიტის დროს ყბის ძვლებში ჰისტოლოგიურად გვხვდება სუსტი ჩაკირვის უბნები [13]. ძვლოვანი ქსოვილის წარმოქმნის შეფერხებით შეიძლება აიხსნას ყბის ძვლების განუვითარებლობა; ყბის ძვლების სტრუქტურული დარღვევები, თავის მხრივ, იწვევს კბილების დაგვიანებულ ამოსვლას. თანკბილვის დარღვევები აიხსნება ქვედა ყბის განვითარების შეფერხებით.

ყბის ძვლები საღეჭი კუნთების ფუნქციური ზემოქმედების შედეგად, არასრულფასოვანი მინერალიზაციის გამო, ადვილად დეფორმირდება. ქვედა ყბა კარგავს თავის პარაბოლოიდურ ფორმას. რკალი, რომელშიც მოქცეულია ფრონტალური კბილები, კარგავს თავის სიმრგვალებს და ბრტყელდება. ეს კი იწვევს ფრონტალური კბილების ანომალურ მდებარეობას. ალვეოლური რკალი, თავის მხრივ, იღებს ტრაპეციისმაგვარ ფორმას. ყბების ასეთი ფორმა ადრეული რაქიტის ნიშანია. თუ ქვედა ყბას ახასიათებს ტრაპეციისმაგვარი ფორმა, ქვედა მოლარები იხრება ენის მიმართულებით, ასეთი ქვედა ყბა მიგვანიშნებს გვიან რაქიტზე [145].

რაქიტი განაპირობებს საღეჭი კუნთების არასასურველ მოქმედებას ზედა ყბის განვითარებაზე - ყვრიმალის რკალზე მიმაგრებული კუნთები საფეთქლის ძვლის, ყბის ბორცვისა და ფრთისებრი მორჩის არეში ქვემოთ ქაჩავს ყვრიმალის რკალს ალვეოლურ მორჩსა და მიმდებარე ქსოვილებთან ერთად და ზემოქმედებს ზემო მოლარებსა და პრემოლარებზე. ფრონტალური კბილების მდებარეობის ანომალია ქმნის ღია თანკბილვის წარმოქმნის საფუძველს [145].

ჰიპოფოსფატემიური რაქიტით დაავადებული საშუალოდ 11 წლის ასაკის 14 პაციენტის (9 გოგო, 5 ვაჟი) გამოკვლევის მიხედვით თანკბილვის დარღვევა აღინიშნა 85,7% -ში [116].

დენტინის აგებულების შესწავლამ D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს აჩვენა, რომ დენტინის გლობულარული აგებულება აღინიშნება მხოლოდ კბილის განვითარების იმ სტადიაზე, როდესაც კალციუმისა და ფოსფორის დეფიციტია მაშინ, როდესაც D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს დენტინის გლობულარული აგებულება არ არის დაკავშირებული კალციუმის და ფოსფორის დეფიციტთან [75].

ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, ძირითადი სტომატოლოგიური დეფექტები D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის შემთხვევაში მიმდინარეობს დენტინში, მინანქარი ნორმალურია, ღრძილისა და კბილის მრავლობითი აბსცესი ტრავმის და კარიესის გარეშეა; გადიდებული პულპური ღრუ კი, რომლის ზომები მნიშვნელოვნად სცილდება მინანქარ-დენტინის საზღვარს, წარმოადგენს კონსერვატიული ენდოდონტური მკურნალობის დაწყების წინაპირობას [118,126,134,13].

[68,124]–ის მიხედვით, სინათლის მიკროსკოპის, კონტაქტური მიკრო-რადიოგრაფიის და რენტგენოლოგიური ანალიზის საფუძველზე შესწავლილ იქნა ჰიპოფოსფატემიური D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დიაგნოზის მქონე პაციენტების სარძევე კბილების სტრუქტურული დეფორმაციები. კალციუმისა და ფოსფორის კონცენტრაცია იყო ნორმაში, აღმოჩნდა მრავლობითი მიკროსკოპიული ანომალიები დენტინში – ინტერგლობულარული დენტინი, პრედენტინის ფართო ზონა. ფოსფორის კონცენტრაცია დენტინში ოჯახური ჰიპოფოსფატემიური D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს მნიშვნელოვნად იყო შემცირებული [87,124].

პოსტნატალური ინტერგლობულარული დენტინის ფორმირება და მინერალიზაცია მნიშვნელოვნად ირღვევა D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს. შესწავლილ იქნა D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებული 7 პაციენტის 17 კბილი (3 გოგონა, 4 ვაჟი). ინტერგლობულარული დენტინი აღმოჩნდა 6 ბავშვის კბილზე. დენტინის დეფექტი დაკავშირებულია პრენატალურ, ნატალურ და პოსტნატალურ პერიოდთან. 5 ბავშვს ყველა კბილზე არ აღენიშნა პრენატალური ინტერგლობულარული დენტინი, 1 ბავშვს არ აღენიშნა პრენატალური ინტერგლობულარული დენტინი, მაგრამ ჰქონდა პოსტნატალური ინტერგლობულარული დენტინი, ხოლო 1 მათგანს არ ჰქონდა ინტერგლობულარული დენტინი. ავტორის აზრით, დაავადებული პაციენტის დედის ნივთიერებათა ცვლა მოქმედებს მუცლადყოფნის პერიოდში ბავშვის მეტაბოლიზმზე. 5-დან 3 ბავშვის (პრენატალური ინტერგლობულარული დენტინით) დედა დაავადებული იყო D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით. 2

ბავშვს, რომელთაც არ აღენიშნათ პრენატალური ინტერგლობულარული დენტინი, ჰყავდა ჯანმრთელი დედა [87].

ჰისტოლოგიურ დაყოფას, დენტინოგენეზის დარღვევის სიმძიმის მიხედვით, აქვს მაღალი დადებითი კორელაცია D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის სიმძიმის კლინიკურ ხარისხებთან. D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებული 5 პაციენტის 29 სარძევე კბილის ჰისტოლოგიური ანალიზმა აჩვენა, რომ დენტინოგენეზის დარღვევის სიმძიმე (სიმძიმის ხარისხის ზრდის მიხედვით) შეიძლება დაიყოს 3 ხარისხად. I ხარისხის შემთხვევაში გლობულარული დენტინის რაოდენობა ნაკლებია 50%-ზე და ინტერგლობულარული სივრცე შემცირებულია. II ხარისხის დროს გლობულარული დენტინის სივრცე ვრცელდება მთელ დენტინის შრეზე, ინტერგლობულარული სივრცე გადიდებულია; III ხარისხის დროს გლობულარული დენტინის რაოდენობა 50%-ზე მეტია. გარდა ამისა, იმ ორსულების ნაყოფს, რომელთაც ჰქონდათ D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დიაგნოზი და არ ჰქონდათ ჩატარებული ადეკვატური მკურნალობა, მუცლადყოფნის პერიოდში ჩამოყალიბდათ გლობულარული დენტინი [90,23,60].

ელექტრონული მიკროსკოპიით შესწავლილ იქნა D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებულ პაციენტთა სარძევე კბილები. მინანქრის სტრუქტურაში დარღვევები არ დაფიქსირებულა, კალციუმისა და ფოსფორის შემცველობა იყო ისეთივე, როგორც ჯანმრთელ ბავშვებში. დენტინის სტრუქტურაში აღმოჩენდა ისეთი მნიშვნელოვანი ანომალიები, როგორებიცაა ინტერგლობულარული დენტინი, პრედენტინის ფართო ზონები, ტუბულარული დეფექტები; დენტინში ფოსფორის კონცენტრაცია იყო მნიშვნელოვნად შემცირებული [26].

ჰიპოპლაზია

კბილების მინერალიზაციასთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვაობა. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში აღინიშნება მინანქრის ჰიპოპლაზია, იგი არ წარმოადგენს დენტინის სტრუქტურაში D ვიტამინ-რეზისტენტული რაქიტის მახასიათებელ ნიშანს. ჰიპოპლაზია გვხვდება ფრონტალური კბილების საჭრელ კიდესთან და მოლარების ბორცვებზე [44], თუმცა [53]-ის მონაცემებით, 3 ბავშვის სტომატოლოგიური ანალიზის მიხედვით, 2 მათგანს აღენიშნა მინანქრის ჰიპოპლაზია. ჰიპოპლაზიური დეფექტები უმეტესწილად გვხვდება მუდმივი კბილების ყელის მიდამოში, ფრონტალური კბილების საჭრელ კიდესთან ახლოს და საღეჭი კბილების ბორცვების მწვერვალებთან ახლოს [57]. [111]-ის მონაცემებით კი კბილების მინერალიზაცია ნორმალურია. მინანქრის სისტემური ჰიპოპლაზია აღინიშნა 3 პაციენტში, მუდმივი კბილების დაგვიანებული ამოსვლა - 4 პაციენტში. ყველაზე ხშირი იყო პრემოლარების და მეორე მოლარის დაგვიანებული ამოსვლა [117].

პულპაში აღინიშნება პათოლოგიური ცვლილებები. შესწავლილ იქნა პულპის მიკროსკოპული აგებულება. აღინიშნა: კოლაგენური ბოჭკოების რაოდენობის გაზრდა, უჯრედული ელემენტების რაოდენობის შემცირება, გაფართოებული სისხლძარღვები, სისხლძარღვებში სისხლისმომარაგების მნიშვნელოვანი მომატება, სისხლძარღვთა კონტურების არაერთგვაროვნება. პულპის რქის გადიდება და დენტინის ფენის გათხელება [59,2].

რენტგენოლოგიურად პაციენტთა უმრავლესობას აღენიშნება პულპური ღრუს გაფართოება, ფესვის მწვერვალის მიდამოში ძვლოვანი ქსოვილის სახემეცვლილი უბნები არაგამოკვეთილი კონტურებით, რაც მიუთითებს პერიაპიკალურ ქსოვილებში ქრონიკული ანთებითი პროცესის მიმდინარეობაზე [117].

შესწავლილ იქნა 2008–2010 წლებში ჰიპოფოსფატემიური რაქიტით შემოსული 19 პაციენტი. მათი საშუალო ასაკი იყო 10 (\pm 4,23) წელი. ყველა პაციენტს აღენიშნებოდა ფოსფორის დაბალი შემცველობა, პარათირეოიდული

ჰორმონის ნორმალური დონე, კალციუმის დონე იყო სისხლში ნორმაში ან ნორმაზე დაბალი. სტომატოლოგიური კუთხით აღენიშნათ: მინანქრის ჰიპოპლაზია - 42,1%. სტომატოლოგიური აბსცესი და გინგივიტი - 10,9%.-ში, კარიესი და კბილების დაგვიანებული ამოსვლა აღინიშნა 47,7%–ში [18]. ჰიპოფოსფატემიური რაქიტით დაავადებული, საშუალოდ 11 წლის ასაკის 14 (5 ვაჟი, 9 გოგო) პაციენტის გამოკვლევის მიხედვით, ყველაზე ხშირად დაფიქსირდა მინანქრის ჰიპოპლაზია (57,1%), ვიდრე სტომატოლოგიური აბსცესი 7,1% (1 პაციენტი), გაფართოებული პულპური ღრუ - 43%–ში, ჰიპომინერალიზაცია - 14,3%.-ში. სარწმუნო კორელაცია სტომატოლოგიურ ანომალიებსა და მკურნალობას შორის არ დაფიქსირებულა ($p > 0,05$). შესწავლილ იქნა კბა ინდექსი 6–12 წლის პაციენტებში ($N = 12$) $DMFT = 5$, ხოლო ბრაზილიის პოპულაციაში $DMFT = 1,57$, რაც მიუთითებს პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე [116,117] .

რაქიტისმაგვარი დაავადების მქონე ოჯახის ორთოპანტომოგრამების შესწავლისას (მამა, ვაჟი და ქალიშვილი) გამოვლინდა: მამას არ აღენიშნებოდა კბილის ფესვის ირგვლივ კორტიკალური ფირფიტა, კორტიკალური ფირფიტა მნიშვნელოვნად იყო გათხელებული ქვედა ყბის ქვედა კიდესთან, ვაჟში ანალოგიური ცვლილებები გამოხატული იყო ნაკლებად, ხოლო ქალიშვილს კი არ აღენიშნებოდა. ავტორის აზრით, კორტიკალური ფირფიტის განლევა დაკავშირებული იყო კალციუმ-ფოსფორის მინერალური ცვლის დარღვევასთან. ვაჟებისთვის დამახასიათებელი იყო პულპური ღრუს მნიშვნელოვანი გადიდება, გოგონებში კი – უმნიშვნელო. კბილის ფესვის მწვერვალი არ იყო დახურული და არ შეესაბამებოდა დახურვის ნორმალურ ვადებს [46,52].

[112] აკვირდებოდა ბავშვებს 9 თვიდან 20 წლამდე.17-დან 11-ს აღენიშნა დროებითი ან მუდმივი ინტაქტური კბილის ფესვის საპროექციო მიდამოში ღრძილზე ხვრელარხი, რაც მიუთითებდა პერიაპიკალურ ქსოვილებში ანთებითი პროცესის არსებობას. ინტაქტური კბილების ხვრელარხი უფრო ხშირია ბიჭებში და ითვლება, რომ ეს არის D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის პირველი ნიშანი, რაც იძლევა დაავადების დროული დიაგნოსტიკის საშუალებას.

ჰიპოფოსფატემიური D ვიტამინრეზისტენტული რაქიტით დაავადებული 5 წლის პაციენტის (მესამე ტყუპის ცალი) შემთხვევის აღწერისას მის მშობლებს და და-მძებს არ აღენიშნათ მეტაბოლური დარღვევები, პაციენტი იღებდა კალციტრიოლს და ფოსფატის შემცველ დანამატებს. შეინიშნებოდა სიმალლეში ჩამორჩენა და ჩონჩხის ანომალიები, გადიდებული პულპური ღრუ, მოკლე ფესვები, ალვეოლური მორჩის ჰიპოპლაზია, ზედა ყბაზე პერიაპიკალური ხვრელარხი, გეოგრაფიული ენა. აღინიშნა ხვრელარხი ფესვის მწვერვალის საპროექციო მიდამოში ტრავმის და კარიესის არარსებობისას. დენტინის მინერალიზაციის დარღვევის შედეგად განვითარებული მრავლობითი სტომატოლოგიური აბსცესი წარმოადგენდა ძირითად კლინიკურ ნიშანს აღწერილ შემთხვევაში [111].

შესწავლილ იქნა ჰიპოფოსფატემიური რაქიტის დროს მუდმივი კბილების პერიაპიკალური და ენდოდონტური სტატუსი. კვლევაში ჩართული იყო 52 პაციენტი, რომელთა ასაკი 5,7 - 74 წ., მათგან -17 კაცი და 35 ქალი. პაციენტები გამოირჩეოდნენ დაზიანებული კბილების რაოდენობის სიჭარბით, რომელთა რაოდენობა იზრდებოდა ასაკის მატებასთან ერთად. სქესის მიხედვით განსხვავება არ დადასტურდა. დაზიანებული კბილების რაოდენობა (საჭრელი, ემვი, პრემოლარი და მოლარი) ვარირებდა ასაკის მიხედვით. ადრეულ ასაკში დაზიანება ეხებოდა მხოლოდ საჭრელ კბილებს და ემვს, ხოლო მოგვიანებით დაზიანება შეეხო პრემოლარსა და მოლარებს [3].

სტომატოლოგიური სტატუსის ანალიზი მიუთითებს ადრეული სტომატოლოგიური დაზიანების აუცილებლობაზე. ადრეული დიაგნოსტიკა, ადეკვატური მკურნალობა და უწყვეტი რენტგენოგრაფიული გამოკვლევა წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ეფექტური სტომატოლოგიური დაზიანებისთვის [74]. 15 წლის პაციენტს ჰიპოფოსფატემიური D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დიაგნოზით, ჩაუტარდა ენდოდონტური მკურნალობა. აღენიშნებოდა კბილების მრავლობითი დაზიანება აშკარა მიზეზების გარეშე. რენტგენოლოგიურმა გამოკვლევამ აჩვენა მოკლე ფესვები, გაფართოებული პულპური ღრუ, გათხელებული დენტინი და მინანქარი. ენდოდონტიური

მკურნალობა ჩატარდა ყველა კბილზე, 6-თვიანი,1 და 2-წლიანი დაკვირვებისას რენტგენოგრაფიულმა გამოკვლევამ აჩვენა ძვლის რეკონსტრუქციის თანდათანობითი გაუმჯობესება[16].

D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის დროს ყველაზე მეტი დარღვევა ეხება დენტინოგენეზს, ვიდრე ამელოგენეზს [134,13]. D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს გაფართოებული პულპური ღრუ პირდაპირპროპორციულია ადეკვატური მედიკამენტოზური მკურნალობის ხარგრძლივობასთან, რაც არ ვლინდება D ვიტამინრეზისტენტული რაქიტის შემთხვევაში.

[142]-ის მიხედვით, დროებითი კბილების ამოჭრის ვადები D ვიტამინ რეზისტენტული რაქიტის და D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის შემთხვევაში მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის დროს დროებითი კბილების ამოჭრა ხდება უფრო გვიან, ვიდრე D ვიტამინ-რეზისტენტული რაქიტის დროს. მუდმივი კბილების მინანქრის სისტემური ჰიპოპლაზია D ვიტამინდამოკიდებული რაქიტის შემთხვევაში აღინიშნა 5, ხოლო საკონტროლო ჯგუფში - 7 შემთხვევაში. ეს შეეხებოდა პირველ მოლარს, საჭრელებს და ეშვს. კარიესის გავრცელება როგორც სარძევე, ისე მუდმივი თანკბილვის დროს არ განსხვავდება ერთმანეთისგან ორივე ჯგუფში. ეს ეხება, აგრეთვე, ჰიგიენურ ინდექსებსაც.

ამრიგად,ლიტერატურაში მწირია მონაცემები რაქიტისმაგვარი დაავადებების დროს სტომატოლოგიური სტატუსის კომპლექსური შეფასების მონაცემები, რაც კვლევის აქტუალობას განაპირობებს.

თავი II

მასალა და მეთოდები

